



# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/163

„12“ ოქტომბერი 2015 წ.

## ბ ა დ ა ნ ა მ ა რ ა ტ ი ვ ა

საერთო სასამართლოების სისტემაში სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლების მქონე თანამდებობის პირთა განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს საერთო სასამართლოებში (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტში სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლების მქონე თანამდებობის პირებად განისაზღვრონ:

- ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;
- ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტის უფროსი (საჭიროების შემთხვევაში);
- დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი (საჭიროების შემთხვევაში);
- ე) სასამართლოს თავმჯდომარე;
- ვ) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ზ) სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე;
- თ) მაგისტრატი მოსამართლე (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკე გადაწყვეტილების შემთხვევაში);
- ი) სააპელაციო სასამართლოს მენეჯერი;
- კ) სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ლ) სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- მ) სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი (საჭიროების შემთხვევაში).

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს საერთო სასამართლოებში (გარდა უზენაესი სასამართლოსი) და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტში დასაქმებულ სხვა თანამდებობის პირებს, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლება მიენიჭებათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკე გადაწყვეტილებით.

3. თუ თანამდებობის პირს სამსახურებრივი ავტომობილით სარგებლობის უფლება აქვს ერთდროულად რამდენიმე საფუძველით, მას უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ ერთი სამსახურებრივი ავტომობილით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი